IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

№20200109

22 იანვარი, 2020 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ გიორგი გახარიას

მიმართვა

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დაარსების დღიდან მუშაობს საბჭოთა ისტორიის შესწავლაზე და ამ მხრივ, გამოქვეყნებული გვაქვს არაერთი კვლევა და ნაშრომი, განხორციელებული გვაქვს სხვადასხვა აქტივობა და აღნიშნულ საკითხზე ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ცნობილ კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩვენი ორგანიზაცია, არის ბოლშევიკური, ე.წ. „სტალინური რეპრესიების“ შესწავლა საქართველოში.

გვინდა გაცნობოთ, რომ 2019 წლის 5 აპრილს, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ გაავრცელა განცხადება, რომ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №338-ში მდებარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ტერიტორიაზე (ყოფილ რუსეთის სამხედრო ბაზაზე, რომელიც ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინსიტროს ბალანსზეა), აღმოაჩინა 1937-1938 წლებში ბოლშევიკური რეპრესიების დროს ე.წ. „სტალინური სიების“ მიხედვით დახვრეტილ მოქალაქეთა 4 სამაროვანი, რომელშიც 150-მდე ადამიანის ნეშტი იყო მოთავსებული. მოგვიანებით, იმავე ტერიტორიაზე ეპარქიის წარმომადგენლებმა მიაკვლიეს კიდევ 1 სამაროვანს. გახსნილი სამაროვნებიდან ამოღებული ნეშტები ეპარქიის წარმომადგენლებმა მოათავსეს სპეციალურ ყუთებში და დაასვენეს ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარდაფში. 2019 წლის 11 აპრილს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით, სამაროვნებთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია.

ბათუმის და ლაზეთის ეპარქიის მიერ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ, ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლებმა ეპარქიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერეს სამაროვნების ტერიტორია. დავიწყეთ ბათუმში და აჭარაში რეპრესირებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება, საარქივო დოკუმენტების დამუშავება. საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ 1937-1938 წლებში აჭარაში სულ 1050 ადამიანი დახვრიტეს. აღნიშნული სია გადავეცით ბათუმის და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებს, რომლებმაც სია გამოაქვეყნეს სოციალურ ქსელში. IDFI-ს წარმომადგენლებმა შესაბამისი მოწვევის საფუძველზე, მონაწილეობა მიიღეს სამაროვნებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის პირველ სხდომაში და კომისიის წევრებს წარვუდგინეთ ორგანზაციის მიერ მოძიებული მასალა და ინფორმაცია.

27 აგვისტოს ჩვენმა ინსტიტუტმა წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს და მოსთხოვა ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ: სულ რამდენი სამუშაო შეხვედრა გამართა კომისიამ? ჩატარდა თუ არა უკვე აღმოჩენილ ნეშტებზე ექსპერტიზა ან/ და სხვა პროცედურები? შეიქმნა თუ არა დნმ ბანკი? მოხდა თუ არა აღმოჩენილი ნეშტების დაკრძალვა ან

მის: ალ. გრიბოედოვის ქ.№ 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: +995 32 292 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-გვერდი: www.idfi.ge

23.01.2020

მიღებულია თუ არა გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე? მოხდა თუ არა ადგილის შესწავლა და აღმოჩენილია თუ არა კომისიის შექმნის შედეგად ახალი სამაროვნები? გაკეთდა თუ არა პროექტი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალის და სასაფლაოს მოსაწყობად სამარხების აღმოჩენის ადგილას?

აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხით ირკვევა, რომ სულ გაიმართა კომისიის 2 ოფიციალური სხდომა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განახორციელა ნეშტებიდან დნმ მასალის აღება და შექმნა შესაბამისი ბაზა; ასევე ახლადაღმოჩენილი სამარხების შესწავლის და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით, აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ეთხოვა სამუშაო ჯგუფის შექმნა; ზემოხსენებულ მისამართზე სავარაუდო სამარხების შესწავლის მიზნით მომზადდა სიტუაციური ნახაზი და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ტერიტორიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან. სამინისტრომ ასევე გვაცნობა, რომ ამ ეტაპზე ნეშტების დაკრძალვის ადგილი და თარიღი გადაწყვეტილი არ არის.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პასუხის შემდეგ, წერილით მივმართეთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ თორნიკე რიჟვაძესაც, რომელმაც ჩვენი წერილი ისევ აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროში გადააგზავნა და უპასუხოდ დატოვა. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ მადლობა გადაგვიხადა და გვთხოვა იმ სიის გადაგზავნა, რომელიც ისედაც ხელმისაწვდომია ინტერნეტ-სივრცეში.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რადგან ბათუმთან აღმოჩენილი სამაროვანი არის დადასტურებულად 1937-1938 წლებში რეპრესირებული პირების საქართველოში ამ ეტაპისთვის მიკვლეული მასობრივი დახვრეტის და დამარხვის ერთადერთი ადგილი, ეს არის არა მხოლოდ ლოკალურად საქართველოსთვის უდიდესი აღმოჩენა, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხი.

რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავყოფა უმნიშვნელოვანესია პოსტ-საბჭოთა სივრცეში. მრავალ ქვეყანაში მსგავს ადგილებზე აღმართულია მემორიალური კომპლექსები, ხოლო სახელმწიფოები აქტიურად ახორციელებენ რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავსაყოფ, საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებებს. მსგავსი ადგილები მიმზიდველია ტურისტებისთვისაც, მისი შექმნით ბათუმს შეემატება კიდევ ერთი საინტერესო, განსხვავებული მიმართულება.

ბატონო გიორგი, ვთვლით, რომ დღემდე გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის და ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, რაც აუცილებლად მოითხოვს პირადად თქვენი და მთლიანად საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას და აქტიურ ჩარევას.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს მთავრობამ უნდა აიღოს აღნიშნული საკითხის კოორდინაცია;
- უნდა შეიქმნას სამთავრობათშორისი კომისია, რომელშიც ასევე მოწვეული იქნებიან არქეოლოგები და სპეციალისტები. კომისიამ უნდა დაგეგმოს სამომავლო ნაბიჯები 1937-1938 წლებში ბათუმთან რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილების შესახებ;
- საქართველოს მთავრობამ უნად გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი 1937-1938 წლებში ბათუმთან რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილების შესასწავლად, რეპრესირებულთათვის სათანადო პატივის მისაგებად, მათი ნეშტების იდენტიფიკაციისთვის და ხსოვნის უკვდავსაყოფად;

- უნდა დაკომპლექტდეს სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც გააგრძელებს უკვე აღმოჩენილ სამაროვნების დამუშავებას და შეისწავლის ტერიტორიას დანარჩენი სამაროვნების მოძიების მიზნით;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ეროვნულ მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის დარბაზის ბაზაზე უნდა შეიქმნას საბჭოთა რეპრესიების შესწავლის ცენტრი (ამის ანალოგი არსებობს გერმანიაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ა.შ.) და ამისთვის სსიპ ეროვნულ მუზეუმს უნდა გამოეყოს სპეციალური ბიუჯეტი. ტერიტორია, სადაც აღმოჩენილ იქნა სამაროვნები, თავდაცვის სამინისტროს ბალანსიდან უნდა გადაეცეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ეროვნულ მუზეუმს და ამ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს საბჭოთა რეპრესიების შესწავლის ცენტრის ფილიალი, სადაც ასევე მოეწყოს ბათუმში და აჭარაში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა საერთო სასაფლაო, მემორიალური კომპლექსი;
- საბჭოთა რეპრესიების შესწავლის ცენტრი განახორციელებს აქტიურ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის ცნობიერების ამაღლების კამპანიას მოსახლეობაში, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში, რათა აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია ბოლშევიკური, ე.წ. „სტალინური რეპრესიების“ შესახებ;
- ცენტრის ხელშეწყობით და დაფინანსებით, ასევე, დაიწყებს რეპრესირებულთა შთამომავალებისგან დნმ მასალის შეგროვებას, რომელიც შედარდება ნეშტებიდან აღებულ ნიმუშებთან IDFI-ს მიერ გამოვლენილი სიის მიხედვით დგინდება, რომ რეპრესიების დროს პერიოდულად, კონკრეტულ თარიღებში ხვრეტდნენ რამდენიმე ათეულ ადამიანს, რომლებსაც ერთ სამარხში ათავსებდნენ (რამდენიმე სამარხში აღმოჩენილი ნეშტების რაოდენობა ემთხვევა კონკრეტულ თარიღებში დახვრეტილი ადამიანების რაოდენობას). იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რამდენიმე ნეშტის იდენტიფიკაცია მაინც, ზუსტად დადგინდება, თუ რომელ დღეს დახვრეტილი ადამიანების ნეშტები იქნენ აღმოჩენილი კონკრეტულ სამარხში;
- საქართველოს მთავრობამ უნდა იშუამდგომლოს, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შორის უნდა შედგეს შეთანხმება იდენტიფიკაციის გარეშე დარჩენილი ნეშტების ერთობლივად დაკრძალვის თაობაზე, მოლაპარაკებებში აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოც.

IDFI კვლავაც მზადაა გამოიყენოს თავისი რესურსი და დაგროვილი ცოდნა ამ პროცესში სახელმწიფოს მხარდასაჭერად და ღონისძიებების ეფექტურად განსახორციელებლად.

წერილთან ერთად გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ სრულ ინფორმაციას.

წინასწარ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი